



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონია.

2019 წლის აპრილში ცნობილი გახდა, რომ პროექტი მონონებულ იქნა; 2019 წლის მაისიდან დაიწყო საგრანტო ხელშეკრულებისთვის მზადების პერიოდი; 2019 წლის ივლისში მივიღეთ თანხმობა EURAXESS-ში საქართველოს განვრიანებაზე; 2019 წლის 24-26 სექტემბერს ხელი მოეწერა Declaration of Commitment-ს – მხარეთა მიერ მზაობის გამოხატვის დეკლარაციასა და ხელშეკრულებას.

რაც შეეხება მომდევნო ნაბიჯებს: რუსთაველის ფონდი შექმნის EURAXESS-ის წარმომადგენლობას და EURAXESS-Georgia-ს ცენტრს; EURAXESS-Georgia-ს ვებგვერდი ჩაირთვება ევროპულ პორტალზე; ეტაპობრივად შემუშავდება სამეცნიერო პოლიტიკა EURAXESS-თან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ EURAXESS-ში საქართველოს განვრიანების პროექტი ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით მზადდება და ამ სისტემაში განვრიანება ქართველ მეცნიერებს დაეხმარება, ჩაერთონ კომერცი-ალიზებულ ევროპულ კვლევებში და მოამზადდეს მათ პროგრამისთვის Horizon Europe.

შესაძლებლობები ქართველი მკვლევრების კარიერული ზრდისათვის და, ამასთანავე, გაიზრდება უცხოელი სტუდენტების დაინტერესება საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლისა და სამეცნიერო კვლევებისადმი. ასევე, EURAXESS-ში გაერთიანებული ქვეყნებისთვის საქართველო გახდება ახალი მიზიდულობის ცენტრი სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად. გაიზრდება ევროპის კვლევით სივრცეში საქართველოს უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების ინტეგრაცია, რაც ხელს შეუწყობს ქართველი მეცნიერების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მეცნიერებაში ინვესტიციების მოზიდვას.

საქართველოს EURAXESS-ში განვრიანების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს: ინტენსიური მოსამზადებელი სამუშაოები 2018 წლის ოქტომბრიდან დაიწყო; 2018 წლის 27 დეკემბერს სამინისტრომ განაცხადი გააკეთა საქართველოს EURAXESS-ში ჩართვაზე; 2019 წლის 1 მარტს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა მოამზადა და ევროპული კვლევებისა და ინოვაციების პროგრამას წარუდგინა პროექტი EURAXESS-Georgia;

„EURAXESS-ში გახვდით – ახალი ნაბიჯი ევროპის სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისკენ“

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა ღონისძიება – „EURAXESS-ში განვრიანება – ახალი ნაბიჯი ევროპის სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისკენ“. პრეზენტაცია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზვიად გაბისონიამ წარადგინეს.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა განაცხადა, რომ პრეზენტაცია ორ



EURAXESS-ის მისია ერთიანი ევროპული სამეცნიერო სივრცის შექმნა

EURAXESS-ი არის სახელმწიფო-საერთაშორისო სტრუქტურა, ევროპული ორგანიზაცია, რომლის მისიაა მკვლევარებისთვის ერთიანი ევროპული სამეცნიერო სივრცის შექმნა, მკვლევართა თავისუფალი მოძიებისა და მეცნიერთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა. დღეისათვის EURAXESS-ში გაერთიანებულია ევროკავშირის წევრი 28 და მსოფლიოს 12 მაღალტექნოლოგიური ქვეყანა (მათ შორის, აშშ, იაპონია, ისრაელი და სხვ.).

EURAXESS-ში განვრიანებისთანავე ქართველ მეცნიერებს ეწეებათ პირდაპირი წვდომა:

- მსოფლიოს 500-ზე მეტ საერთაშორისო და შიდა ეროვნულ სამეცნიერო ფონდის გრანტთან;
- 15 000-ზე მეტ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და კვლევებით დაინტერესებულ ბიზნესორგანიზაციასთან;
- 40-ზე მეტი ქვეყნის რამდენიმე მილიარდი ევროს ოდენობის ფინანსურ რესურსზე. ევროპულ პროგრამა EURAXESS-ში ქვეყნის განვრიანება ხელს შეუწყობს საქართველოს მჭიდრო ინტეგრირებას ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით სივრცეში, მეცნიერთა კარიერულ განვითარებას, ქვეყნის უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას. საქართველოს მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ქსელის ყველა სერვისი, რომელიც ამჟამად ამ ევროპული პროგრამის წევრი ქვეყნების მეცნიერთათვის არის ხელმისაწვდომი. პროგრამა EURAXESS-ში საქართველოს გაერთიანების შედეგად გაიზრდება



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა ღონისძიება – „EURAXESS-ში განხილვის განხორციელება – ახალი ნაბიჯი ევროპის სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისკენ“, რომელსაც ქართული სამეცნიერო საზოგადოება დაესწრო.

მნიშვნელოვან მოვლენას, ქართული მეცნიერების დიდ საერთაშორისო წარმატებებს ეძღვნება: საქართველომ მიიღო მონაწილეობა, გახდეს ევროკავშირის ინოვაციებისა და მეცნიერების ორგანიზაციის – EURAXESS-ის წევრი, რომელიც ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციაა, რაც, ფაქტობრივად, ქართული მეცნიერების ევროკავშირის სივრცეში ინტეგრაციას ნიშნავს. გზა, რომელიც საქართველოს აქვს არჩეული, მიმართულია რაც შეიძლება მეტ ევროპულ სტრუქტურაში ინტეგრაციისკენ; ეს მნიშვნელოვანი წარმატებაა მეცნიერების სფეროში ამის დასტურია – დღეს შეგვიძლია სიამაყით განვაცხადოთ, რომ საქართველო გახდა ევროკავშირის მეცნიერებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციის – EURAXESS-ის წევრი; ეს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციაა არა მხოლოდ ევროკავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში, რაც გულისხმობს ქართველი მეცნიერების პირდაპირ წვდომას 15 000-მდე ორგანიზაციასთან, მსოფლიოს სხვადასხვა



„მეცნიერების წარმატების გასაღები მისი თანამედროვე ტექნოლოგიების პრინციპით განვითარებაა“ - ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონია

უნივერსიტეტთან, კვლევით ფონდსა და კერძო ორგანიზაციასთან. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართული მეცნიერების ინტეგრაციის გზაზე ევროკავშირის სივრცეში. საქართველოს ნებისმიერ მეცნიერსა და სამეცნიერო ინსტიტუტს მიეცემა შესაძლებლობა, რომ პირდაპირ ისარგებლოს იმ სიკეთებით, რომლებიც არსებობს ევროკავშირში; მათთვის რეალურად ხელმისაწვდომი ხდება ევროკავშირის ფარგლებში მეცნიერების კუთხით არსებული ფონდები და მასშტაბური პროექტები. ამ მნიშვნელოვან პროექტს წინ უძღოდა რამდენიმე თვის უზარმაზარი სამუშაო, მაგრამ საქართველომ დააკმაყოფილა ყველა სტანდარტი და შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს მეცნიერების ინტეგრაციის პროცესი ფაქტობრივად დაიწყო ევროპულ სივრცეში, რაც მეტ ერთობლივ პროექტს ნიშნავს. მარტო EURAXESS-ის ფარგლებში ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდი იხარჯება სწორედ ასეთი სამეცნიერო კვლევების მიმართულებით და ეს ყველაფერი უკვე გახსნილი იქნება ქართველი მეცნიერებისთვის.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა რუსთაველის ფონდის გენერალურ დირექტორს, ზვიად გაბისონიას ამ მიმართულებით გაწეული ინტენსიური და მიზანმიმართული სამუშაოსთვის, ამ მნიშვნელოვან საქმეში შეტანილი დიდი წვლილისთვის. მიხეილ ბატიაშვილმა აღნიშნა, რომ ეს მოვლენა ოფიციალურად 2019 წლის სექტემბერში, ქალაქ ბრიუსელში გაფორმდება, როდესაც ხელი მოეწერება Declaration of Commitment-ს – მხარეთა მიერ მზაობის გამოხატვის დეკლარაციას და ხელშეკრულებას. „ასევე საამაყო



მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონია შეკრებილ საზოგადოებას EURAXESS-ში განხილვის შესახებ ესაუბრებიან.

ფაქტია, რომ ქართველ მეცნიერებს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამეცნიერო ბაზის, Web of Science-ის მონაცემების მიხედვით, ციტირების ყველაზე მაღალი ინდექსი აქვთ პოსტსაბტოთა ქვეყნებს შორის, რაც საქართველოს მეცნიერების დიდი საერთაშორისო წარმატებაა“, – განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზვიად გაბისონიამ EURAXESS-ის – ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის მნიშვნელობაზე, მიზნებსა და დიდ შესაძლებლობებზე ილაპარაკა, რომლებსაც ამ საერთაშორისო პროგრამაში ჩართვა აძლევს ქვეყანას.

„ჩვენ 2018 წლის ოქტომბრიდან დავიწყეთ პროექტზე მუშაობა და მაქსიმალურად მოკლე დროში მივალდინეთ მიზანს. ეს ნაბიჯი ახალი ფართო შესაძლებლობები და ახალი გამოწვევაა ქართული მეცნიერებისთვის, მისი განვითარებისა და მაღალ ევროპულ სტანდარტებზე ასაყვანად. ევროკავშირის პროგრამა EURAXESS-ში გაერთიანების შედეგად ქართველ მეცნიერებს პირდაპირი წვდომა ექნებათ მსოფლიოს 15 000-ზე მეტ წამყვან უნივერსიტეტთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და კვლევებით დაინტერესებულ ბიზნესორგანიზაციასთან, მსოფლიოს სამეცნიერო ფონდების 500-ზე მეტ საერთაშორისო და შიდა ეროვნულ გრანტთან. ასე რომ, შეიძლება ითქვას, მეცნიერების სფეროში ჩემპიონთა ლიგაში გადავდით... რაც შეეხება ქართველი მეცნიერების იმ მიღწევას,

რომ ისინი ლიდერები არიან ციტირების მაღალი ინდექსით პოსტსაბტოთა ქვეყნებს შორის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზის Web of Science-ის მიხედვით, ეს განათლებისა და მეცნიერების სფეროში გატარებული სახელმწიფო პოლიტიკის, შედეგზე ორიენტირებული ცვლილებების შედეგია; აღსანიშნავია, რომ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსებში გამარჯვებული მეცნიერებისთვის ერთ-ერთი მოთხოვნა მათ მიერ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებაა“, – განაცხადა ზვიად გაბისონიამ.

EURAXESS-ში განხილვის განხორციელება ქვეყნის უდიდესი წარმატებაა“

„მეცნიერების წარმატების გასაღები მისი თანამედროვე ტექნოლოგიების პრინციპით განვითარებაა“ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონია.

საქართველოს EURAXESS-ში – ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციაში განხილვის განხორციელება ქვეყნის უდიდესი წარმატებაა; დღეს საქართველოს მეცნიერებს, სუბიექტური და ობიექტური მიზნების გამო, უცხოელ კოლეგებთან კომუნიკაციის, ურთიერთობის პრობლემა აქვთ; როდესაც ქართველი მეცნიერი აპირებს რომელიმე საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობას ან ერთობლივი სამეცნიერო კვლევის განხორციელებას, მას სჭირდება პარტნიორები უცხოეთში. თუმცა, ამ ეტაპზე, ჩვენი მეცნიერებისთვის კოლეგებთან ურთიერთობის დამყარება ვინაობა სამეცნიერო პროფილის მიხედვით პრაქტიკულად შეუძლებელია. EURAXESS-ში განხილვის განხორციელება საშუალებას მისცემს საქართველოს მეცნიერებს, მონაწილეობა მიიღონ როგორც Horizon 2020-ისა და ERC-ის (ევროპული კვლევების საბჭოს) ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში, ასევე EURAXESS-ის წევრი



EURAXESS-ში გაერთიანებული ქვეყნებისთვის საქართველო ახალი მიზიდულობის ცენტრი გახდება სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად.

სახელმწიფოების (ევროკავშირში შემავალი 28 ქვეყნის, ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული ქვეყნების – აშშ, იაპონია, კანადა, ისრაელი და სხვა) მიერ გამოცხადებულ შიდასახელმწიფოებრივ პროექტებში. ასე რომ, საქართველოს მეცნიერებს ექნებათ საშუალება, ჩაერთონ, მაგალითად, იაპონიაში მოლეკულურ ბიოლოგიასა თუ ბირთვულ ენერგეტიკაში გამოცხადებულ კონკურსში, რაც აქამდე შეუძლებელი იყო.

EURAXESS-ი დაფუძნებულია ევროკომისიის მიერ; ეს არის სახელმწიფოთაშორისი სტრუქტურა, ევროპული ორგანიზაცია, რომელიც ფლობს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო და მასშტაბურ სამეცნიერო პლატფორმას, რომელზეც წარმოდგენილია ყველა წვერი ქვეყნის დროშა – ბმული, რომლის ქვეშ განთავსებულია ინფორმაცია ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებლის, კვლევითი ინსტიტუტის, სამეცნიერო ფონდის შესახებ. როდესაც პორტალზე საქართველო წარმოდგენილი იქნება საკუთარი დროშით, უცხოელ მეცნიერს შეეძლება საქართველოს დროშის ქვეშ ნახოს ამომწურავი ინფორმაცია რუსთაველის ფონდის

მიერ ადმინისტრირებული კონკურსების შესახებ და თუ კონკურსი ითვალისწინებს უცხოელი მეცნიერის მონაწილეობას, ჩაერთოს მასში ადგილობრივ მეცნიერთან ერთად. ასევე, ქართველ მეცნიერს შეუძლია, ჩაერთოს ამ ქვეყნების შესაბამისი ინსტიტუციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში; არის კონკურსები, პროექტები, სადაც ეძებენ საქართველოს მსგავსი ქვეყნის მეცნიერებს, რადგან კონკურსის პირობები შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ერთ-ერთ სამეცნიერო ჯგუფში უნდა იყვნენ მეცნიერები არაევროკავშირის წვერი ქვეყნებიდან ან პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოებიდან. შესაძლოა, ფოლკსვაგენის ფონდმა ფრანკფურტის ან ჰამბურგის რომელიმე უნივერსიტეტთან ერთად გამოაცხადოს პროექტი ქართველოლოგიური კვლევების მიმართულებით, რომლისთვისაც სჭირდება ქართველი მეცნიერები, ან პროექტი ჰიდროენერგეტიკაში, რომელშიც საქართველოს საკმაოდ ძლიერი პოზიციები აქვს. ასე რომ, ქართველი მეცნიერების წინაშე ფართო ასპარეზი იშლება.

რაც შეეხება სამეცნიერო პუბლიკაციებს, ქართული მეცნიერებისთვის დიდი გამოწვევაა ონლაინპუბლიკაციები. ჩვენი მეცნიერები სხვადასხვა სფეროში თავიანთ კვლევებს, პუბლიკაციებს ძირითადად ადგილობრივ ქართულენოვან ჟურნალებში აქვეყნებენ. შეუძლებელია გაიზარდოს ქართველი მეცნიერების ციტირების ინდექსი ჰუმანიტარული თუ საბუნებისმეტყველო მიმართულებით, თუ გამოქვეყნებული ნაშრომები ინგლისურენოვანი არ იქნება და არ გამოქვეყნდება ხელმისაწვდომი ფორმატით, შესაბამის საერთაშორისო პლატფორმაზე. ასე რომ, თუ ასეთ პლატფორმებში, საერთაშორისო პროგრამებსა და ორგანიზაციებში არ გაერთიანდა ქართული მეცნიერება, მას მომავალი არ ექნება. მეცნიერების წარმატების გასაღები მის თანამედროვე ტექნოლოგიების პრინციპით განვითარებაშია, ეს არის ჩვენი მოდელი და იდეა.

უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამეცნიერო ბაზის, Web of Science-ის მონაცემების მიხედვით ქართველ მეცნიერებს ციტირების ყველაზე მაღალი ინდექსი აქვთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის; უფრო მეტიც, უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემებით,

ევროპაში ციტირების ინდექსის მაჩვენებლით ვართ მესამე ადგილზე, რაც დიდი მიღწევაა და ეს იმ ფონზე, როდესაც არცთუ ისე მაღალი მაჩვენებელი გვაქვს გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობით. ამის მიზეზი ისაა, რომ მეცნიერების საკმაო ნაწილს აქვს ენობრივი ბარიერი. მათ არ აქვთ მეთოდოლოგიური წვდომა Web of Science-ის მსგავს პლატფორმებზე. ამ გამოწვევას ქართული პლატფორმის განვითარებით უნდა ვუპასუხოთ და ამის შემდეგ მეცნიერები კიდევ უფრო ადაპტირდებიან ისეთ საერთაშორისო პლატფორმაზე, როგორცაა Web of Science-ი.

მიმდინარე წლის 24-26 სექტემბერს ქალაქ ბრიუსელში დაგეგმილია ოფიციალური ხელმოწერა ევროკომისიასა და საქართველოს შორის Declaration of Commitment-ისა – მხარეთა მიერ მზაობის გამოხატვის დეკლარაციასა და ხელშეკრულებაზე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მიხეილ ბატიაშვილთან და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველ მიხეილ ჩხენკელთან ერთად გვექნება შეხვედრა ევროკომისიის კვლევების და ინოვაციების დირექტორატის გენერალურ დირექტორთან ჟან ერიკ პაკესთან, რომელზეც ვისაუბრებთ სამომავლო აქტიურ ურთიერთთანამშრომლობაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქართველოს ასოცირებაზე Horizon 2020-ის შემდგომ პროექტში – Horizon Europe-ში, ქვეყნის EURAXESS-ში განვითარების შემდგომ ნაბიჯებზე, რადგან ეს დინამიკური პროცესია და არა ერთჯერადი აქტი.

განვევრიანების მომდევნო ნაბიჯი იქნება EURAXESS-Georgia-ს წარმომადგენლობის დაფუძნება; კანონმდებლობის მიხედვით მას ადმინისტრირებას რუსთაველის ფონდი გაუწევს. EURAXESS-Georgia-ს დირექტორი ფონდის დირექტორია, აღმასრულებელი დირექტორი კი ყოველდღიურ მენეჯმენტს წარმართავს. დაიწყება ინტენსიური მუშაობა პლატფორმის შექმნაზე, ქართული პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვაზე EURAXESS-ის ცენტრალურ პლატფორმაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ გაჩნდება ქართული დროშა შესაბამისი სამეცნიერო ინფორმაციით. აღსანიშნავია, რომ ქართული პლატფორმა იქნება ინგლისურ, ქართულ და აფხაზურენოვანი, რაც ძალზე



ქართულ მეცნიერებს
ციტირების ყველაზე მაღალი
ინდექსი აქვთ პოსტსაბჭოთა
ქვეყნებს შორის, უფრო მეტიც,
უკანასკნელი სტატისტიკური
მონაცემებით, ევროპაში
ციტირების ინდექსის
მაჩვენებლით მესამე ადგილზე
ვართ.

მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ აფხაზ კოლეგებს ვთავაზობთ საერთაშორისო კვლევებში ჩართვას და ამ უზარმაზარ სამეცნიერო ინფორმაციაზე წვდომას – მხოლოდ ქართული დროშის ქვეშ!

ეს უდიდესი მნიშვნელობის მქონე პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, რადგან რუსთაველის სამეცნიერო ფონდმა საქართველოს ისტორიაში პირველად მიიღო პროგრამა Horizon 2020-ის გრანტი, – ფონდი არის პირდაპირი ბენეფიციარი ამ პროგრამის – გრანტის მოცულობა 200 000 ევროა.

თუ ჩვენ EURAXESS-ის და სხვა მსგავს პლატფორმებზე ვერ მივაღწიეთ წარმატებას, ვერც Horizon 2020-ის გრანტებს მივიღებთ და ვერც ERC-ისას, შესაბამისად, ვერც სამეცნიერო ნაშრომების ხარისხი აიწევს. მეცნიერების განვითარების იდეა მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომების, მათი ციტირების ინდექსის ზრდაა, ამიტომ გვჭირდება სამეცნიერო პრიორიტეტების გამოკვეთა, რომელთა მიხედვითაც დაიწყება მიზნობრივი დაფინანსება, რაც საშუალებას მოგვცემს, სხვა სახის დაფინანსებაზე გავზარდოთ და, საბოლოოდ, ქართული მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციასა და მისი საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებას შევუწყოთ ხელი.